2018
30 დეკემბერი
#1

არქეოლოგია

ARCHEOLOGIA
არქეოლოგია

ევროპის უნივერსიტეტის
აკადემიკოს ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი

შორეთის მონასტრის ლაპიდარული წარწერა

მაღხაზ დათუკიშვილი
არქეოლოგიის დოქტორი
malkhaz.datukishvili@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია შორეთის სამონასტრო კომპლექსისა და დაპიდარული წარწერებთან დაკავშირებული კვლევა, რომელიც შესრულდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების, თსუ კულტურის ისტორიის კათედრისა და ქართული კავკასიური კულტურის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპინძისხევის ერთობლივი კომპლექსური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით.

ასპინძისხევის ექსპედიციამდე შორეთის სამონასტრო კომპლექსზე არქეოლოგიური კვლევის, ფიქსაციისა და კონსერვაციის მიმართულებით არასდროს ჩატარებულა აქტიური სამუშაოები. ჩვენ ხელთ არსებობდა მხოლოდ საისტორიო წყაროების მწირი ცნობები, და ასევე ცნობილ მეცნიერთა თუ მოხალისეთა (XIX ს-ის II ნახევარი – XX ს-ის I ნახევარი) დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები.

შორეთის სამონასტრო კომპლექსი VI-XV საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც მდებარეობს ასპინძის რაიონში, ასპინძისხევში, სოფ. ოთის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5-6კმ-ში. კომპლექსი მოიცავს კედლის მოზაიკით შემკულ ოხსართულიან დარბას, სამრეკლოს, სკრიპტორიუმს, მცირე სამლოცველოიან ციხეს და კლდეში ნაკვეთ სენაკებს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი წარმოადგენს მრავალჯერ გადაკეთებულ ხთულ არქიტექტურულ ნაგებობას. მთავარი ეკლესია, სავარაუდოდ VI-VII საუკუნის საკულტო ნაგებობის ნაშთებზეა აგებული, რასაც მოწმობს ამჟამინდელი სატრაპეზოს კედლების წყობა და საკურთხევლის ქვეშ, კარებში ჩაშენებული მენჰირის ორი ფრაგმენტი.

შორეთის სამონასტრო კომპლექსზე, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ასპინძისხევის ექსპედიციის მიერ გამოვლენილი დაპიდარული წარწერები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ფეოდალური სახლის წევრთა, საგვარეულო სახელების დადგენის კუთხით. დაპიდარულ

წახწეხებში დასტუხდება ჯვხის მონასტხის აღაპებში მოხსენებუღ ფეოდაღთა სახეღები და სადაუხობა:საბა-ნიკოღოზი და ოთახი ვახაზა, ხომეღთაც ხოგოხც შოხეთის მონასტ-ხის ქტიტოხებს და (საბ)ოთხებს, შახოეღ ხეღმწიფეთა ჩამომავღებად (ხოსხოვან-ბაკუხეანებად) და შაღიკაშვიღთა ფეოდაღუხი სახღის წინაპხებად მივიჩნევთ.

ჩატახებუღი კვღევები ნათღად აჩვენებს, ხომ ასპინძისხევის ახქეოღოგიუხი ძეგღები სამცხე-ჯავახეთის კუღტუხუღი მემკვიდხეობის უმნიშვნეღოვანეს ძეგღთა ხიგს განეკუთვნება. შოხეთის ნამონასტხაღი ახქეოღოგიუხი თვაღსაზხისით ბოღომდე შესწავღიღი ჯეხ კიდევ ახ ახის. აღნიშნუღ ტეხიტოხიაზე ახქეოღოგია, მციხედი გამონაკღისების გახდა, ახ გასციღებია წმენდით სამუშაოებს. ჩვენი ვახაუდით, ის უძვეღესი დხოიდან წახმოადგენდა საკუღტო დანიშნუღების ადგიღს.

საკვანძო სიტყვები: სამცხე-ჯავახეთი, ასპინძა, თორი, შორეთის მონასტერი, ლაპიდარული წარწერა

შორეთის სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. არასდროს ქცეულა სპეციალური კვლევის საგნად, თუ არ ჩავთვლით საისტორიო წყაროების მწირ ცნობებსა და XIX-XX საუკუნის მეცნიერთა თუ მოხალისეთა დაზვერვით ექსპედიციებს რეგიონში.

1985 წლის მიწისძვრის შედეგების შესწავლის მიზნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის 1986 წლის ექსპედიციამ მესხეთის სხვა ძეგლებთან ერთად შეამოწმა შორეთის მონასტრის მდგომარეობა. სეისმოლოგთა დასკვნას თან ერთვის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, პროფ. ი. ციციშვილის რეცენზია, შორეთის კომპლექსის პრევენციული კვლევა-კონსერვაციის აუცილებლობის შესახებ. ძეგლთა დაცვის სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებიდან 1986 წელს შორეთში მივლინებულ იქნა არქიტექტორ-რესტავრატორთა და ხელოვნებათმცოდნეთა ჯგუფი თამარ ნემსაძის ხელმძღვანელობით.

1987 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს საისტორიო საზოგადოების (თავმჯდომარე აკად. ა. აფაქიძე), ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართული კულტურის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა ასპინძისხევის ერთობლივი კომპლექსური ექსპედიცია (ხელ-ი მ. დათუკიშვილი). ექსპედიციის საერთო კოორდინაცია დაევალათ მესხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას (პროფ. ო. ღამბაშიძე) და თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრას (პროფ. გ. ლორთქიფანიძე).

ექსპედიციაში 1987 წლიდან სპეციალური სტატუსით მიწვეულ იქნა არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფი, თ. ნემსაძის ხელმძღვანელობით, ხოლო ექსპედიციის კონსულტანტად და წმენდითი სამუშაოების არქეოლოგიური მეთვალყურეობის გასაწევად სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის განყოფილების გამგე პროფ. გ. გაფრინდაშვილი.

1988 წლის 13 ივნისს, ძეგლთა დაცვის სპეციალურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოების პრე-

ზიდიუმს და არქეოლოგიურ კომისიას წარუდგინა საგარანტიო წერილი, რომ შორეთის სამონასტრო კომპლექსსა და ოთის კარის ეკლესიაზე წარმოებული წმენდითი სამუშაოების პარალელურად წარმოებდა კონსერვაცია.

შორეთის სამონასტრო კომპლექსი, VI-XV საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ძეგლი, წარმოადგენს კედლის მოზაიკით შემკულ, რამდენჯერმე აღდგენილ და გადაკეთებულ ორსართულიან ლავრას, სამხრეთ-აღმოსავლეთით მინაშენი ეკლესიით, სამხრეთ-დასავლეთ კრიპტაზე დაშენებული კარიბჭით, საძვალე-ეკლესიით, ორსართულიანი სამრეკლოთი, სკრიპტორიუმით, მცირე სამლოცველოიანი ციხე-სიმაგრით, ქვითკირით ნაშენი და კლდეში ნაკვეთი სენაკებით.

მდებარეობს ასპინძის რაიონში, ასპინძისხევში, სოფ. ოთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5-6 კმ. დაშორებით, ჯავახეთის ზეგანის მსაზღვრავ ტყიან და კლდოვან ფერდობზე, მდინარე შორეთის (შოლოთის) წყლის სათავეში, კოხტასციხისა და ზედაველას გასწვრივ წარმოშობილ ბუნებრივ, კლდოვან ქვაბულში. მე-5 კატეგორიის სამანქანო გზა სოფელ ოთადან ექსპედიციისა და ასპინძის სატყეო მეურნეობის ძა-

ლისხმევით ტაძრამდე მიყვანილია 1991 წლიდან და მრავალგზის შეკეთებული დღემდე ფუნქციონირებს. ძეგლი წარმოადგენს რთულ არქიტექტურულ ნაგებობას. მთავარი ეკლესია, VI-VII საუკუნის საკულტო ნაგებობის (სავარაუდოდ ადრექრისტიანული ეკლესიის) ნაშთებზეა აშენებული, რასაც მოწმობს ორივე, საძვალისა და სატრაპეზოს კედლის წყობა და საკურთხევლის ქვეშ კარებში ჩაშენებული მენჰილის (ქვის სვეტი სტილიზებული ჯვრით) ორი ფრაგმენტი. მთავარი ეკლესია – ორეკლესიიანი ბაზილიკა ფოროვანი ბაზალტითაა აგებული და არაუგვიანეს IX-X საუკუნით თარიღდება. XII-XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო ლავრის ფუნდამენტური გადაკეთება და გაფართოება. დასავლეთით მდებარე ფასადი და ინტერიერი, კარგად დამუშავებული თლილი ქვით ნაგები, უაფსიდო, მაგრამ შთამბეჭდავი ზომის, არატოლფერდა რელიეფური ჯვრის მქონე არქიტრავით დამშვენებული ნაგებობა, სავარაუდოდ სკრიპტორიუმი, არაუგვიანეს XI-XII საუკუნეებით შეგვიძლია დავათარიღოთ, თუმცა გაცილებით ადრეულიც შესაძლოა ყოფილიყო, სუსტი საძირკვლის გამო სავარაუდოდ მიწისძვრით ადვილად დაინგრეოდა და აღარ აღუდგენიათ ბერებს. მისი თლილი ქვები, მოგვიანებით ლავრის რეკონსტრუქციის, თაღებისა და სამრეკლო-საძვალის მშენებლობაშია გამოყენებული. XIII-XIV საუკუნეში მიუშენდა კარიბჭე, სამხრეთის ორ საძვალეზეა დაშენებული რეკონსტრუირებული ეკვდერი და სამრეკლო.

საისტორიო გეოგრაფია ტრადიციულად სამცხეში განიხილავს ასპინძას: „შეიპყრეს და მოჰკლეს ნასრა ხევსა სამცხისასსა, სოფელსა ასპინძას ქ-სა რ-ე“ (50:987). თუმცა, ასპინძა მტკვარზე მდებარეობს და ამ შემთხვევაში ქ-ცხ.-ბა მტკვრის ხეობას გულისხმობს „სამცხის ხევში“ და არა ასპინძისხევს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან „მოერთვის“ მტკვარს. ზოგადად, ქ-ცხ.-ის თანახმად გეოგრაფიულ ტერმინში: „ფანავრიდან მტკვარამდე“ იგულისხმება ტერიტორია ფარავნის ტბიდან (აგრეთვე ტბიდან გამდინარე მდინარე ფარავნიდან), დასავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირით შემოსაზღვრული „ნახევარკუნძულისა“, რადგან მტკვარი თმოგვიდან დასავლეთისკენ მიედინება ფარავნის ხერთვისიდან, ახალციხესთან უხვევს ჩრდილოეთით და ფოცხოვის ხერთვისიდან აწყურთან უკვე აღმოსავლეთისკენ მიედინება. ასპინძა-ღობიეთამდე ჯავახეთი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც ვრცელდებოდა აბოცსა და ერუშეთამდე.

სამცხისა და ჯავახეთის ბუნებრივ დასავლეთ საზღვარს მტკვარი წარმოადგენდა, ჯავახეთიდან ოთა-საბოთარისა და თორის გამოცალკევებულ, მაგრამ საერისთავთ-ერისთავოში ინტეგრირებული ადმინისტრაციული ერთეულების გაჩენით, ჯავახეთშივე შეიქმნა მიკრო-ქვეყნები (ფეოდის (მამულის), ან სახევისუფლო-საერისთაოების სახით, ერისთავთ-ერისთავით სათავეში, რომელიც მენაპირეობდა და ვეზირის ან სარდლის სახელსაც ფლობდა ტრადიციულად), მამულების ნაწილი სამეფო დომენია, ნაწილი ეკლესიისა. ჯაყელთა გაძლიერებისა და გაათაბაგების შემდგომ და შალიკაშვილებთან მრავალწლიანი მაოხარი ომის შემდგომ, „საზღვარმა“ ასპინძისხევის (მდ. ოთისწყალი/სანისლოს) მარცხენა სანაპიროს ციცაბო, კლდოვან მთებზე გადმოიწია, საიდანაც ჯავახეთის ზეგანი იწყება. ასპინძისხევის კლდეკარს ვარაზასციხე იცავს, აქედან ტაბაწყურ-თრიალეთის გზა ერთის მხრივ სანისლაო-თეთრობზე შავი კლდის მიმართულებით გრძელდება, მთავარი მიმართულება ზემო ინთორიდან აზავრეთისკენ (ზვარეთი) მიდის, შემდეგ სამხრეთით ალასტან-საროს და ჩრდილოეთით შარვაშეთ-ტაბაწყურისკენ. ღართა-მამაწმიდის გზას ციხისჯვარისკენ (თორი) მივყავართ. გზა აქ კოდიანზე გადადის. „ცხრაწყაროს უღელტეხილი გვიან გატანილი გზაა, ამიტომ ჯავახეთიდან თორში გადასვლა უმეტესად ციხისჯვრით ხდებოდა, რომელიც გაცილებით დაბალია და ადვილად გადასალახი“ (2:99). გზის სიძველეს ადრეფეოდალური მენჰილები და ქვაჯვარები

მოწმობენ, რომლის არსებობა ჯავახეთის ზეგანზე გადასასვლელ საურმე გზაზე მდებარე შორეთშიც დადასტურებულია არქეოლოგიური კვლევის დროს.

ხეობის უძველესი სათემო სახელწოდება სავარაუდოდ ბოთა (ბოდი), აქედან კი საბოტარი (საბოთარი) უნდა ყოფილიყო: „შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა, მოიყვანეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს უფლისციხე...“ (51:173). იგივე სახელწოდება (“ტ“-ს “თ“-თი ჩანაცვლებით მეორდება ვანის ოთხთავის ანდერძ-მინაწერში: „...შემოსწირა... ჩვენ, საბოთარსა და შორათელთა, პირველ ხატსა მაცხოვრისასა და წმინდასა გიორგი შოროთისასა და წმინდასა ნიკოლოზს“ (21:80). შესაძლოა „საბოთარი“-დან იქნა მიღებული გვიანფეოდალური ოთარი, ოთარაი, ოთა. „ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა აქვს“ (55:34). „ოლიდაშვილთა (მტკვრის ხეობაში ტოპონიმის „ოლოდის ქუაბების“ არსებობა, დაკავშირებული უნდა იყოს ოლიდაშვილ/ალადაშვილებთან და ასპინძისხევთან), აქუს ოთარა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ (55:80), „შალიკაშვილის ზემბადის შვილმა მითივ ნაქონები ოთის ციხე წარუღო“ (55:34), „სახარება დაიწერა... ქართველთა გავარში, სოფელში, რომელსაც ჰქვია ოთა“ (1:86). ასპინძისხევი ძველთაგან საეკლესიო, მცხეთის საკათალიკოსო მამული იყო. როგორც ვიცით, XI საუკუნიდან ჯავახეთის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილი „მტკვარამდე“, თანდათან სამეფო დომენად იქცა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობის გამო. ასპინძისხევი კოდიანით, თეთრობით, ზედაველათი და ზვარეთით, გზაჯვარედინზე მდებარეობდა პიტიახშთა, ბაღუაშთა, თორელ-სამძივართა, ჩორჩანელ-ჯაყელთა, თმოგველ-წუნდელთა, „შაროველ ხელმწიფეთა“, ოძრხელ სეფეწულთა და „ალასტნელ მეფე-უფლისწულთა“ მამულებს შორის. გზები ციხესიმაგრეთა მძლავრი სისტემით კონტროლდებოდა:კოდიანის უღელტეხილი თორის ციხისჯვრის ციხით, სამცხის მხრივ ჩიტიკიბეების ციხით და მამაწმიდის კლდეკართან სანისლო-თეთრობისკენ ვარაზას ციხით. ჯავახეთში მიმავალი საურმე გზა ოთისა და ზემო ინთორის ციხეებით. აზავრეთის გზა, რომელსაც ოთიდან და დამალადან მომავალი საურმე გზები უერთდებიან, შორეთის ციხით, დამალის მიმართულებით კი კოხტას ციხით. ასპინძისკენ მიმავალი გზაზე ოთართა საციხისთავო რეზიდენცია – ოთის ციხე მდებარეობს. საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები შეინიშნება აგარის ნასოფლართან, ასპინძას კი საკუთრივ ასპინძისციხე იცავდა. ციხე-სიმაგრეთა ეს მძლავრი სისტემა უშუალოდ სათვალთავო კოშკების მეშვეობით უკავშირდებოდა ერთმანეთს.

ხევი განსაკუთრებით მდიდარია ეკლესია-მონასტრებით:აგარის ეკლესია (ყიზილ-დერესა), ღართის, სანისლოს, ოთის მარიამ წმინდის, მამაწმიდის, ქვემო ინთორის ეკლესიები, ბეთლემისა და შორეთის მონასტრები.

შორეთის მონასტერი საურმე გზების გზაჯვარედინზე მდებარეობს, უწინ აქ არაუგვიანეს VI-VII საუკუნეების სასაზღვრო მენჰილი (სვეტი, „ჭორატი“) მდგარა (87:406). „ქვაკაცა აგებული, ჭორტი არს ქვა აგებული უკიროდ, კაცთა უმაღლესად, ნიშნად, რათამე დასანიშვნელად“, მოკვლეულია შორეთში 1987 წ. წმენდითი სამუშაოების წარმოებისას. სვეტი ორად არის გაჭრილი და ჩაშენებულია საკურთხევლის ქვეშ, პირველ სართულზე სატრაპეზოდან გამავალი აღმოსავლეთის კარებში (საკითხის დასმისთვის დავძენთ, რომ საინტერესო კვლევის საგანია „ჭორატი“-ს ლაზურ-ზანური ფორმა, აქვს თუ არა „ო“ პრეფიქსი, შეიძლება დავუკავშიროთ ტოპონიმების:ოშორა-შორეთი ეტიმოლოგიურ კვლევას, საყურადღებოა ივანე გვარამაძის ჯავახური „ჭაიტა“ და მარი ბროსეს „ტაიჯი (ტაიჭი)“.

მეცნიერთაგან ყველაზე ძველი ცნობა ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის: „ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცალიერი“ (51:677). 1847 წელს აკად. მარი ბროსემ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. „Не имея времени для польных изельдованои. Я избрал преимушественно те мьста, котория по мненою моему и богаче древностями и менье доступни путешественникам“ (85:N40). შენობას ბროსე არ აღწერს „სიცივისა და უდროობის გამო“. საინტერესოა ფაქტი, რომ თოვლის სიმაღლეს ეკლესიის კარიბჭეზე მდებარე ნიკოლოზ ორბისძის ლაპიდარული წარწერა ჰქონდა დაფარული და შეუმჩნეველი დარჩა მკვლევარს.



1. (იესო)ქ(რისტ)ე: ძეო ღ(ვთ)ისაო მეოხებითა მშობელისა შე(ნი)სა(ი)თა შ(ეიწყალ)ე //
2. საბა-ნ(ი)კ(ოლო)ზ ძე ვარაზ-ბაკურ ოთა(რაის)ძისა: მაშენებელი წ(მიდ)ისა ამის ეკლ //
3. ესიისა მოსახელისა შ(ე)ნისა და წ(მიდ)ისა გ(იორგ)ი(სა) და ნ(ი)კ(ოლო)ზ(ი)სა შეწევითა //

1881 წელს ივანე გვარამაძე „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით წერდა:“ხიზაბავრის ტყეში ყოფილი ქაიტას („ქაიტა“-ს უწოდებს შორეთს) ეკლესიის მცირედი ზედწარწერაც ვიღაცას წაუღია, ამაზედ ეწერა:ნიკოლოს ორბელის ძე ხუცესთ-ხუცესი. ეს ადრე მონასტრად ყოფილა კოდიანისა და ნახევარჯავახეთის მცხოვრებთა:ქვეშ ეკლესიისა არის ორი სართული სენაკები ქვითკირით ამოტანილნი 8 თუ 9 და ზედა მესამე სართულად ერთ გვერდზედ ეკლესია; იატაკი სრულ მინაქარის მწვანე ჩინური ნაგები, აღსავლის კარს შუა სრულ ლიბრი მარმარილოს ძვლები და ოთხი ყურე კედელი სრულ მუზაიტის კენჭით ჩაწყობილი ხატები. ამ ათის წლის წინ ეს ნაშთი ჩვენ წინაპართა დიდებისა კიდევ დამხვდა; ახლა სრულ გატიალებულა ...“ (31).

1902 წელს შორეთში ასული ე. თაყაიშვილი, განიხილავს მას როგორც „вь высшей степени привлекательнымь и живописнымь“. მონასტრის დასავლეთით „Возвышается высокий скалистый пикь, увьнчанный еще более высокою башнею. Это крепость Шолота, или Шоретис Цихе“. შემდეგ მოიხსენიებს ვარაზის ციხეს. „Между этими двумя твердынями приютился Шоретский монастыр“ (12:10). ყურადღებას ამახვილებს იმ უცნაურ გარემოებაზე, რომ გეგმა მთავარი ეკლესიისა ჯვრის ტიპისაა, დასავლეთისაკენ წაგრძელებული, თითქოს ყველა პირობაა გუმბათის დასადგმელად შექმნილი, მაგრამ გუმბათი მაინც არ დაუდგამთ. მიუთითებს მოზაიკის ნაკვალევზე: „Нашли несколько стеклянных кубиков, которые должны были служить материалом для мозайки“, ე. თაყაიშვილი მონასტერს XII-XIV საუკუნეებით ათარიღებს (84:13).

საგვარეულო სახელად ქცეული, როგორც „ოთარი“, ფუძით „ოთა“, საბოთარი, ფუძით „ბოთა“, ან „ბოქთა“. ტოპონიმი ბოქთა დადასტურებულია ასპინძისხევში, ნასოფლარში შემორჩენილია დიდი რაოდენობით სამშენებლო ქვის გროვები, სავარაუდოდ აბულის, შაორის, ოლდანის, საროს უძველეს, ე.წ. „მშრალი წყობით“ აშენებულ საფორთიფიკაციო ნაგებობათა მსგავსი ობიექტის ნაშალი, ბოქთის გორა-ნამოსახლარიდან მიმდებარე ხეობაში უწესრიგოდ ჩაყრილი. ნასოფლარის ზუსტ სახელწოდებას არ ვიცნობთ. მისი არსებობა მხოლოდ ძველ რუსულ წყაროებში მოვიძიეთ (Бохта), XIX საუკუნის „პონტოურ“-ბერძნულენოვან ხიზანთა ზეპირმეტყველებიდან ჩაწერილი.

შორეთი მოხსენებულია რამდენიმე ხელნაწერი პერგამენტის მინაწერში:

1. უმნიშვნელოვანესია ვანის ოთხთავის მინაწერი:მე-274 კაბადონის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით სწერია (XIII-XIV ს.) „წ. შემოსწირა:წმინდა:ესე ოთხთავი:პატრონმან ნათამან ჩვენ:საბოთარსა:და შოროთელთა:პირველ ხატსა მაცხოვრისასა:და წ̄ისა გ̄ი შოროთისასა და წ̄ისა ნკზ̄ს“ 23 (82; 21, 86; N1335). ამ მინაწერზე დაყრდნობით ე. თაყაიშვილი ასკვნის, რომ მთავარი ხატი მაცხოვრის სახელობისაა, რასაც ადასტუ-

რებს შორეთის „ფარული“ და 2017 წ. გამოვლენილი ლაპიდარული წარწერა: „ი(ესო)ო ქ(რისტ)ე... მოსახელისა შენისა...“ (იხ. ქვემოთ).

2. და **3.** შემოწირულობანი კოზმან და პავლე არსენის ძე უგრეხელიძეთა გვარებს იხსენიებენ ანდერძებში. სწირავენ „შოროთას“, ან „წმ. გიორგის შოროთისასა“ (69:203).

4. ხელნაწერთა ანდერძებს დაემატა ე. თაყაიშვილის მიერ 1917 წელს შიო მღვიმის მონასტრიდან ჩამოტანილი თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ თარგმნილი ასკეტური კრებული „მამათა ცხოვრების“ მინაწერი: „ითარგმნა ... სახელითა და მეოხებითა... და წმიდის გიორგისი შოროთისაითა ... ნუ ვინ გამოაჰუბს ხატსა ღვთაებისასა და წმიდასა გიორგის შოროთისასა“ (70:N1342). ამ ანდერძს ყურადღება პირველად ექსპედიციის წევრმა ო. მაისურაძემ მიაქცია 1992 წ.

შორეთის შესასვლელთან არსებული წარწერის პირველი სრული და სწორი წაკითხვა ეკუთვნის გიორგი ბოჭორიძეს, გამოქვეყნება – ვ. ბერიძეს: „ორბ(ელ)ისძეს ნიკოლოზს, გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“.

ეკლესიის შესახებ ბერიძე ამბობს: „ვარჩიეთ ეკლესია არ განგვეხილა, რადგანაც მის შესახებ ზუსტი და საბოლოო დასკვნის გამოსატანად, მისი შრეების გასარჩევად, ძეგლის საფუძვლიანი გაწმენდა და თვით გათხრაც კი იქნებოდა საჭირო, მით უფრო, რომ შენობა თავისი ტიპითაც მეტად თავისებურია“ (7:214). გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულია „სათესველი შოროთა, შორეთა“. აღწერილია მხოლოდ როგორც სათესველა (14:148).

პარხლის ფასადზე 17 სტრიქონიან მხედრული, XIII-IV საუკუნის წარწერაში იხსენიებიან საბა მღვდელმთავართ უხუცესი, პატრონი კათალიკოზი ნიკოლოზი (ე. თაყაიშვილის ვარაუდით 1240-1273 წლებში მოღვაწე ნიკოლოზ კათალიკოზი), და „საბადრის შვილი“. ვინ უნდა იყოს „საბადრის შვილი“, რომ ესოდენ მაღალი რანგის სასულიერო პირებთან ერთად ბრძანებას იძლევა პარხალში და წარწერაში მღვდელმთავართუხუცესისა და კათალიკოზის შემდეგ იხსენიება?

„... 5. მღვდელთ მოძღუა... (ქ)ალწულთაითა:ესე დაწერილი:მე საბა:მღდელ მთრ

6. თ უხუცესმა ... (პა)ტრონმა წმნ:ქ კ-ზმნ:ნკ-ზ:და საბადრის შვილმა

7. მიბრძანეს ...“

ქ-ცხოვრების „საბოტარელთა“, ვანის ოთხთავის „საბოთარი“-სა და პარხალში მოხსენებულ “საბადრის შვილი“-ს ურთიერთკავშირი დასაშვებია, მით უმეტეს, რომ შორეთის იმპოსტის რელიეფურ წარწერაში მოხსენებული კათალიკოსის სახელი შესაძლოა ნიკოლოზი იყოს (წარწერა ჩამოტეხილია, რელიეფური ასომთავრული გრაფე-

მების მხოლოდ ქვედა ნაწილებია შემორჩენილი და ძნელი ამოსაცნობი, ანუ "მქლ" და "ნკზ" იდენტურია).

ვახუშტის შორაპანი („არს შორაპანს მონასტერი...") პროფ. გურამ გრიგოლიასა და მეუფე ანანია ჯაფარიძის მოსაზრებით, სრულიადაც არ არის შემთხვევით ნახმარი. მაგისტრალურ გზებზე მოწყობილი იყო გამაგრებული პუნქტები, ქალაქები, „შორაპნები", („სარაპანის"-ები), ინფრასტრუქტურით, საფორთიფიკაციო და საკულტო ნაგებობებით. „შაჰრ/საჰრ" ქალაქია სპარსულად, ხოლო „პაან/პავან" უფალი (მფარველი, მცველი, გამგებელია), საუკეთესო ძველქართული თარგმანი სარაპანისა „უფლისციხეა". საგულისხმოა ვიკიპედიაში „სატრაპის" ეტიმოლოგიური განმარტება:

„The word SATRAP is derived via Latin *satrapes* from Greek satrápēs (σατράπης), itself borrowed from en Old Iranian *xšaθra-pā/ă-. In old Persian, which has the native language of the Achaemenids, it is recorded as xšaçapāvan (literally „protector of the province"), xšaça („relam" or „province") and pāvan („protector") is the origin of the word „kshatriya". In modern Persian the descedant of xšaθrapāvan is shahbān (شهربان), but the components have undergone semantic shift so the word now means „town keeper" (shahr [شهر] meaning „town" + bān [بان] meaning „keeper").

„მარზპანი" სხვადასხვა განმარტებით „საზღვრის მცველს" და „სანაპირო ქვეყნის უფალს" ან „უფლის ნაცვალს" ნიშნავს.

X-XI საუკუნეში ბოქთა დაიმცრო და ოთაში აიგო ახალი ფეოდალური სახლის რეზიდენცია – ოთის ციხე რაბათით, საბოთარი-ოთა-ოთარი და ოშორა-სარო/შარო-შაროეთი/შორეთი კი გაერთიანებულ ერთეულად, მიკრო „ქუეყანად" ჩამოყალიბდა, ანუ:ა-პინძისხევი ოშორით, კოდიანით, ტაბაწყურით, ზვარეთით, სარო-სამსარის გასწვრივ ფარავნისწყლის მარჯვენა სანაპირო ფლატემდე, რაც ამ მხარის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს აბულ-სამსარის ქედამდე, გვირგვინდება აბულის ციხით, შესაძლოა ამ ფეოდალური სახლის იურისდიქცია ვრცელდებოდა გარკვეულ პერიოდში თორზე, დემოთის ციხეზე, აწყურზე, ფერსათის მთაზე, მტკვრის ხეობაზე ტაშისკარამდე და იმიერ ქართლზე. შესანიშნავად მოგვეხსენება, რომ იმერეთი „იმიერ ქართლი" იყო და აფხაზთა სამეფოს მიერ ქართლის ანექსიამდე (ანუ ლეონ II-მდე) შორაპნის, მარგვეთის, ჩიხის ერისთავები ქართლის ერისთავებად მოიაზრებოდნენ. მიჰრი და არჩილი იმიერ ქართლში, ეგრისში, აფხაზეთში, სვანეთსა თუ კახეთში, სპერში, კლარჯეთსა თუ ჯავახეთში, საკუთარ მამულში იყვნენ, სამეფოსა და სარწმუნოებას იცავდნენ დამპყრობლებისგან.

„კოდიანის საბატონო" სტრატეგიული თვალსაზრისით ერთიანი, უალტერნატივო და ეკონომოკურად დაკავშირებული მიკროქვეყანა იყო, რომელიც სავარაუდოდ შეიქმნა ისტორიულად უკვე ადრევე არსებულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულის საზღვრებში, „სახელმწიფოში", რომელსაც არაუგვიანეს VIII-IX საუკუნეებისა (შესაძლოა მანამდეც, VI საუკუნიდან, სპარსელთა მძლავრობის დროიდან, როცა ხოსროვანთა მეფობა მოსპეს, ერისთავებს მამულები დაუმტკიცეს და „უმეტეს ქართლში" გაბატონებულნი „ჰბრძოდნენ ბერძენთა"). ეს სახელმწიფო „ოშორა"/ „შაროეთი"-ს (ჯავახეთის შორაპან/სარაპანისის) სახელწოდებით იყო ცნობილი, ცენტრით სარო (შარო)-ში, რომლის ეტიმოლოგია სპარსულ-ფალაურ „შაჰრ" (ქალაქი)-იდან მომდინარეობს. ანალოგიური წარმომავლობისაა რუსთველის „გულან-შარო" (სპარს. „გულან"-ვარდი და „შარო"-ქალაქი, გავიხსენოთ თანამედროვე „ფერეიდუნ-შაჰრ"-ი, ირანის მარტყოფი). ბაგრატ შაროელ

ხელმწიფის (მამულის აფხაზეთში მქონე) ქალი თხოვდება აშოტ კუროპალატის უფროს ძეზე – ადარნასეზე, ჩიხაში აშოტ კუროპალატის შვილიშვილი გიორგი I აღწეფელი ძმისშვილს ქართლის ერისთავად ნიშნავს, ანუ აფხაზეთის სამეფოს უერთებს (ეს ტერიტორია ლიხამდე ისედაც ლეონ II-ს დროიდან აფხაზეთში მოექცა, მაგრამ არ ვიცით ჩიხის ერისთავის იურისდიქცია ამიერქართლსა და თორ-ჯავახეთზეც თუ ვრცელდებოდა, და სადამდე მიდიოდა). შაროელთა განაყოფი შტო ივანე და შემდეგ ადარნასე შავლიანები აფხაზეთის ტახტზე ადიან IX საუკუნეშივე. შავლიანები უზურპატორებად ითვლებიან თუმცა შესაძლოა დედის მხრივ თეოდოსი II-ის (აშოტ კურაპალატის სიძის) ასულის მხრივ ლეგიტიმურობასაც ფლობდნენ აფხაზეთის ტახტზე, რადგან მხოლოდ გიორგი I აღწეფელის ქვრივის მხარდაჭერით, ივანე შავლიანს არავინ აპატიებდა დემეტრე II-ის ძეთა მკვლელობას და ტახტზე ასვლას, ვერც გუარამ მამფალს დაუმოყვრდებოდა ყოვლად არალეგიტიმური უზურპატორი. ბაგრატ დემეტრეს ძე ბიზანტიელთა ჯარის დახმარებით იბრუნებს ტახტს, ცხადია ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ. ეს ჰიპოთეტური მოსაზრება „შავლიანების დედის ხაზით თეოდოსი II-ს ასულისგან ჩამომავლობისა“, რომელსაც თავის მხრივ დედა აშოტ კუროპალატის ასული ჰყავდა, ეკუთვნის მ. ბირკაძეს (მარკოზ ურქითს). ჩვენი შემხვედრი ჰიპოთეტური მოსაზრებაა, რომ შავლიანთა სახლი ბაგრატ შაროელ ხელმწიფის სახლის განაყოფია და ამ ფეოდალური სახლის მამული სწორედ ზემო ჯავახეთია სამხრეთით და დასავლეთით მტკვარამდე, წუნდამდე, აღმოსავლეთით ფარავნამდე, ჩრდილოეთით კი თანამედროვე არგვეთის ჩათვლით (რაც იმ დროს ჯერ კიდევ იმიერ ქართლად მოიაზრებოდა, მაგრამ ფაქტიურად აფხაზეთი იყო, როგორც საგანგებოდ აღნიშნავს მერჩულე), გიორგი I-ის მიერ ჩიხაში ძმისშვილის გაერისთავება, შესაძლოა სწორედ მეზობელი ფეოდის დაპყრობას, შაროელ/შავლიანთა წინააღმდეგ მიმართულ აქტს წარმოადგენდა.

„შაროელ ხელმწიფეთა“ სახლი საგვარეულო სახელით ვარაზ-ბაკური (სახელი ბაგრატი ბაგრატიონთაგან დამოყვრებითვე „ნასესხები“ ჩანს) ვფიქრობთ, რომ შაროელ ხელმწიფეთა სახლი ხოსროვან-ბაკურეანთა ჩამომავალი უნდა იყოს, არჩილისა ან მიჰრის შვილებისაგან, არჩილს ცოლად ბაგრატიონი ჰყავდა (მირდატ ვახტანგის ძის შთამომავლობიდან), ამგვარი მრავალჯერადი დანათესავებიდან უნდა მომდინარეობდეს „შაროელთა“ ლეგიტიმაცია ჯავახეთშიც და აფხაზეთშიც.

აშოტ კუროპალატი თეოდოსის II-ს (სიძეს) კახეთის წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას უწევდა, მაგრამ ბუღა თურქის შემოსევისას ბაგრატ კუროპალატი (აშოტის ძე) უკვე არაბთა მხარეს იბრძვის აფხაზეთის სამეფოს დემეტრე II-ს (დისშვილის) წინააღმდეგ. უფროსი ძმა ადარნასე, ბაგრატ შაროელის ყოფილი სიძე, არ ერევა კონფლიქტში, ხოლო უმცროსი ძმა გუარამ მამფალი პირიქით ჯავახეთს იპყრობს, მაგრამ იბრძვის არაბების წინააღმდეგ და ეხმარება აფხაზთა მეფეს, რომელლიც თავის მხრივ ცდილობს ქართლის დაუფლებას. აშოტ კურაპალატის ერთ სავარაუდო შვილიშვილს ივანეს ძეს ადარნასე შავლიანს ცოლად მოჰყავს მისივე მეორე შვილიშვილი გუარამ მამფალის ასული, ხოლო რაც შეეხება ბიზანტიური ჯარით დაბრუნებულ აშოტ კურაპალატის მესამე შვილიშვილს ბაგრატ დემეტრე ძეს, რომელიც უზურპატორ ადარნასეს სიკვდილით სჯის, დაქვრივებულ გუარამ მამფალის ასულს ცოლად ირთავს, ცოლისძმა – განდევნილი ნასრე გუარამ მამფალის ძე ჩამოყავს კონსტანტინეპოლიდან, მოირთავს ოსებს და ეწყობა მტრებს:ტაო-კლარჯეთის ხელმწიფეთ, ლიპარიტ ბაღუაშსა და ანისის მეფეს.

გუარამ მამფალმა ოძრხე, ჯავახეთი და თრიალეთი დაიქვემდებარა, როგორც ჩანს შაროელ ხელმწიფეთა ადარნასესთან უკვე დამოყვრებულმა სახლმა (ადარნასეს მიერ ცოლის „განტევებით“ დამცირებულმა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის მიერ ღირსება აღდგენილმა), „იპატრონა“ გუარამ მამფალი და ეს ურთიერთობა მოგვიანებით შავლიანებთან დამოყვრებაშიც გამოიხატა, თუმცა 80-იან წლებში ვითარება გართულდა, გადმოდის არგვეთიდან ლიპარიტ ბაღუაში, იპყრობს თრიალეთს სკვირეთამდე და იპატრონებს დავით კურაპალატს, რომელსაც მოტყუებით ჰკლავს ნასრა, რადგან თრიალეთში ბაღვაშის გაბატონებისთვის პასუხს სწორედ დავით კუროპალატს მოჰკითხავს. დავითის ღალატით (მიტყუებით) მოკვლისთვის ნასრას განდევნიან ბიზანტიაში, ბაგრატ I-ის მიერ დაბრუნებულს ვეღარავინ, კი ისევ ამარცხებენ და ჰკლავენ ასპინძის მიდამოებში. არ არის ცნობილი თუ რა ბედი ეწია ამ დროის განმავლობაში „შაროელ ხელმწიფე ბაგრატს“, მის შთამომავლებსა და მის სახელმწიფოს, მით უმეტეს, რომ ნასრას ყოფილი სიძე ადარნასე შავლიანი ბაგრატ I-მა ჩამოაგდო აფხაზეთის ტახტიდან, სიკვდილით დასაჯა და თვითონ შეირთო ცოლად ნასრას დაქვრივებული და.

ნასრას მოკვლის შემდეგ, „დავით კუროპალატის სისხლისგან უბრალო“, შემონაზვნებული გუარამ მამფალი ძმებს და ნათესავებს განუყოფს მამულს. ამ დროს, შესაძლოა კოდიანს, ასპინძისხევსა და შარვაშეთს, ზემო ჯავახეთს (ზეგანს ფარავნისწყლამდე) კვლავ „შაროელთა“ სახლი ფლობს, მით უმეტეს, რომ სავარაუდოდ ნასრას წინააღმდეგაც გამოვიდოდნენ შაროელნი და ასპინძასთან მის განადგურებაშიც მიიღებდნენ მონაწილეობას.

XI საუკუნეში ჯავახეთის ერისთავებად ფარსმან თმოგველი და ზვიად მარუშიანი გვევლინებიან, მაგრამ ეს უკვე ეხება კონსტანტინე III-ის მიერ ჯავახეთის შემოერთებისა და და ახალქალაქის განვითარების, აღმშენებლობის შემდგომ პერიოდს. როგორც ჩანს კოდიანი, შარვაშეთი და სარო-სამსარი როგორც ჩანს ავტონომიურ მიკროქვეყანად რჩებოდა და უწინარეს ყოვლისა საუფლისწულო დომენთან იყო ინტეგრირებული, უაღრესად სტრატეგიული მდებარეობის წყალობით მუდამ ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მყოფი, ეტყობა სამეფო ოჯახის სანდო დასაყრდენს და ეკლესიის ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენდა (სოფლების დიდი ნაწილი ასპინძისხევსა და ზვარეთში სვეტიცხოვლის საკუთრებაა).

XII საუკუნის ბოლოს თალპიონზე ახალციხელები ჩნდებიან, საკუთარი სახელები:- შალვა და ივანე თორელთა საგვარეულოში არც მანამდე, არც შემდეგ არ გვხვდება. XI ს. ვარაზ-ბაკური გამრეკელის თიკუნი: „გამრეკელი“ საკუთარ სახელად გვხვდება თორელებში, მაგრამ შესაძლოა ვარაზ-ბაკურის შთამომავალი თორელებზე გათხოვილი ქალის მიერ იყოს დამკვიდრებული სამძივარ-თორელთა გვარში. ცხადია რძლის, თუნდაც სახელგანთქმული წინაპრის (ან მამის) სახელს პირმშოს, მემკვიდრეს არ დაარქმევდნენ არანაკლებ სახელოვანი ფეოდალები, მაგრამ შესაძლოა დაწინაურებულიყო გამრეკელის სახელის მატარებელი უმცროსი ძე (გამრეკელი თორელი) და შემდეგ უკვე ახალ საგვარეულო სახელად დაემკვიდრებინა იგი. რაც შეეხება საკუთარ სახელს შალვა-ს (შავლეგოს), შესაძლოა „შაროელი“-სგან მომდინარეობდეს. თანამედროვე ჯავახურ დიალექტზე „საროელი“ გამოითქმის „სარველ-ად“. შაროელიდან მოდის შარვაში (ლაზურ-მეგრული ფორმა), შავლეგო და შალვა, გვარი „შავლიანი“ შალვადან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო თავდაპირველი ფორმა შაროელ-შარველი უნდა ყო-

ფილიყო. შარვაშეთის ქედი თორსა და ჯავახეთში და შარვაშიძე გვარი აფხაზეთში სწორედ შაროელ-შავლიანებისგან უნდა მომდინარეობდეს.

ახალქალაქი („ახალ-ქალაქი“ გულისხმობს ზემო ჯავახეთში ძველი ქალაქის (ძველი რეზიდენციის) არსებობას, რომელსაც სავარაუდოდ სარო (შარო, შაროეთი, შორაპანი) უნდა რქმეოდა, წუნდის ზეობის დროს ფარავნის მარჯვენა ფლატეზე იყო მოქცეული, სახელმწიფოდ იწოდებოდა, სავარაუდოდ „გუგარქი-გოგარენეს“ ანუ სომხურ სახელმწიფოთა ექსპანსიის დროსაც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. X-XI საუკუნიდან როგორც ჩანს ზემო ჯავახეთის ეკონომიკურმა ცენტრმა ახალქალაქში გადმოინაცვლა, თმოგვი საკარგავია, ქვემო ჯავახეთში ხერთვისი, წუნდა, ყველის ციხე ძლიერ ცენტრებად არიან ჩამოყალიბებული, აწყურში-თორსა და გუჯარეთში სამძივარნი ჩანან, XII საუკუნეში მტკვრის მარჯვენა ნაპირით შემოსაზღვრული „ყურე-ნახევარკუნძული“ სავარაუდოდ „შაროელთა“ ჩამომავალ ახალციხელების მამულია, რომლის იურისდიქცია ჯაყელთა ხარჯზე ახალციხის მიმართულებით იზრდება, ხოლო აზავრეთ-ალასტან-კოხტა-სარო-სამსარ-შარვაშეთის-კოდიანით შემოსაზღვრული მხარე საუფლისწულო დომენად არის ჩამოყალიბებული. კვლევის საგანია შაროელთა სახლისა და ორბელიანთა ურთიერთკავშირი.

სერგი მაკალათიას მიერ ჩაწერილ შოთა რუსთველის შესახებ ჩაწერილ მესხურ ლეგენდაში ასპინძისხეველ კოდიანის მებატონის მამულები „წალკამდე სწვდება“ ანუ დანარჩენ ზემო ჯავახეთსა და თრიალეთზეც ვრცელდება... ვინ არის კოდიანის მებატონე ვარაზ-ბაკურ ოთარი? სამშვილდელ „ნათესავით პიტიახშ“ ვარაზ-ბაკურის შთამომავალი? თუ ხოსროვან-ბაკურეანი? შორეთის ლაპიდარულ წარწერაში მოხსენებული XII-XIII ს. ვარაზ-ბაკურ ოთა(რაის)ძე სწორედ საბოთართა და შაროელ-შორეთელ-შოროთელთა ჩამომავალია, სამშვილდეში მოკალათებულ სომეხ ბაგრატუნთა პირველი „მწურთნელი“ ხომ ისევ ვარაზ-ბაკურ გამრეკელია XI საუკუნეში, აძიკვის ორივე წარწერის XII ს. ვარაზ-ბაკურ ერისთავთა ერისთავია. შორეთის ვარაზ-ბაკურს ოთა(რაი)ს ძის, წინაპრთა სახლის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ ბაგრატ შაროელი ხელმწიფე, იოანე და ადარნასე შავლიანები აფხაზეთის მეფენი, შარვაშიძენი (აფხაზეთის ერისთავი დოთაღო და დარდინ რუმის ამირსპასალარი), შალვა და ივანე ახალციხელები.

ნიკო მარი ფიქრობდა, რომ „შაროელი“ და „შარვაშიძე“ ერთმანეთს უდრის და შარვაშიძე შაროელის მეგრულ-ჭანური ფორმიდან შაროში-დან მომდინარეობს. ჩვენი აზრით სვანურ დიალექტში შაროელი/შარვაში შარველ-შავლიანად ტრანსფორმირდა, რაც დიალექტთა თავისებურებების გათვალისწინებით სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, თუმცა არ იქნა გაზიარებული მეცნიერთა მიერ და უპირატესობა მიენიჭა მოსაზრებას შარვაშიძეთა შარვანშაჰიდან (დავით აღმაშენებლის სიძე) მომდინარეობის შესახებ.

გიორგი მერჩულის ცნობა „შაროელ ხელმწიფის“ შესახებ, ცხადია საშუალებას გვაძლევს პარალელი გავატაროთ „კლარჯ ხელმწიფეებთან“, აშოტ კუროპალატის რძალი, ადარნასე მეფის პირველი მეუღლე შაროელ ხელმწიფის ასულია და გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან კარგად ჩანს თუ როგორ იცავს უსამართლოდ განდევნილი დედოფლის ღირსებას მხცოვანი გრიგოლ ხანძთელი. მონაზვნად აღკვეცილ დედოფალს „ბევრელს“ უწოდებენ მონასტერში, ესეც საგულისხმოა, რადგან ტოპონიმი ბავრა (ბავრელი-ბევრელი) ორ ადგილას დასტურდება ჯავახეთში, ბევრეთი აგრეთვე ტოპონიმია (ამჟამად დედათა მონასტერი) საორბელო თრიალეთში ვერეს ხეობაში (სკვირეთ-

ში). რაც შეეხება „შაროელს“, ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებით რაჭას („შაორი“) უნდა უკავშირდებოდეს, ცხადია იმ მოტივითაც, რომ შაროელი ხელმწიფის ასულს „მამულში, აფხაზეთში“ აბრუნებენ, და რაჭა აფხაზეთის სამეფოშია ამ დროს, მაგრამ ერთის მხრივ „ხელმწიფის“ სტატუსი საკუთრივ შაორის (რაჭის) მებატონეებთან არსად დასტურდება, ამას გარდა, ჯავახეთში, ფარავნის ტბასთანაც მდებარეობს ტოპონიმი „შაორი“, უძველესი, მშრალი წყობით აგებული ციხე-სიმაგრე. „შაროელი ხელმწიფე“ უკავშირდებოდეს ტაო-კლარჯეთთან გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარე, მეზობელ მიკრო ქვეყანას (რეგიონს) – საროს, რომლის პოლიტიკურმა ცენტრმა (დედაქალაქმა) შემოინახა სახელწოდება სარო და წარმოდგენილია ნაქალაქარი საროს უძველესი ციხე-სიმაგრისა და რეგიონის, უფრო ადრინდელ, ერთმანეთთან დაკავშირებულ საფორთიფიკაციო, საკულტო, საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსის სახით, რაც ცხადყოფს მძლავრი, რეგიონული სახელმწიფო-ადმინისტაციული ცენტრის არსებობას.

ტოპონიმი „სარო“ ირანული „შარო“-დან („შაჰრ-ი/ო“, ქალაქი, გალავნიანი ადგილი), იგივე მეთოდოლოგიით არის წარმოშობილი, როგორც ქართულ სუფიქსიანი ინდოევროპულ/ხეთური „ღართ-ა“ ან „ქართ-ა“. შორეთის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის პარალელურად დაზვერვითი სამუშაოები მიმდინარეობდა სოფ. ოთასა და მის შემოგარენში, გამოვლენილია გვიანბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები, ქვასამარხები, მძლავრი საფორთიფიკაციო ნაგებობის ნაშთები შორეთისკენ მიმავალ გზაზე ე.წ „სათრითავის“ გადასახვევისკენ. კოხტას ციხისკენ მიმავალ საურმე გზისკენ, „სათარი“ კი დამახინჯებული შესაძლოა „საბოთარი“ იყოს, „სათრისთავი“ ანუ „საბოთრის“ თავი, XI-XIV სს., მიწისძვრებისა და პერმანენტული შემოსევების შედეგად შორეთის ციხე-სიმაგრისა და „საბოთარი“-ის ორი მესამედი მაინც ჩამოქცეული ჩანს, შესაძლოა „სათარ/საბოთარი“ აღდგენას ვეღარ დაექვემდებარა ნამოსახლარითურთ და გავერანდა, რეზიდენცია კი სწორედ ამ დროს იქნა ოთაში გადმოტანილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

შორეთის მონასტრის მომდევნო ხეობაში უხეშად გათლილი ქვის შენობა დგას, სავარაუდოდ ციხე. იკვეთება რამდენიმე გოდოლი, მაგრამ შესაძლოა საკულტო ნაგებობაც იყოს, ზემო ინთორის ნასოფლართან, კლდის ქიმზე. თუ ვარაზას ციხე-შორეთის ციხე და ოთის ციხე ერთმანეთს ვიზუალურად ხედავენ და სიგნალის გადაცემაა შესაძლებელი, ზემო ინთორის ციხე ამ სისტემაში არ ზის, ის სხვა ეპოქისაა, გაცილებით უფრო ადრეული პერიოდის, სავარაუდოდ „სათარ/საბოთარის ციხის“, ჩიტიკიბეების, ოლდანის და „ბოქთის ციხის“ დროინდელი.

IX-XI საუკუნეებში სახეზეა აფხაზთა მეფეების გააქტიურება ქართლის მიმართულებით, არგვეთის მიმდებარე თორი და ჩრდილო ჯავახეთის ზეგანი თრიალეთითურთ ქეშმარიტი კარიბჭე და სტრატეგიული პორფოსტია. სიმპტომატურია შავლიანთა გამეფებისთანავე ლიპარიტ ბაღვაშის არგვეთიდან თრიალეთში გადასვლა, ბაგრატის დაბრუნებისა და ადარნასე შავლიანზე შურისძიების შემდეგ შესაძლოა შეთანხმებულიც იყო ეს გადასვლა. „შაროელი ხელმწიფის“ დროს აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში აღნიშნული რეგიონი (სარო, შარო, შაროეთი) შესაძლოა თამამად მოვიაზროდ. სავარაუდოდ, შაროელთა შტო აფხაზეთში გამეფდა, ბაგრატის ბიზანტიიდან დაბრუნებამ რადიკალურად შეცვალა Status Qvo. აფხაზეთის სამეფოს იურისდიქცია X საუკუნიდან სწრაფად განივრცო მეტნაკლები წარმატებით ჯავახეთზე. ბაგრატ მესამე კუმურდოს ქტიტორადაც მოგვევლინა.

კოდიანის მთა (ვახუშტის მიხედვით „ჯავახეთის მთა“) არის შარვაშეთის (ზოგ წყაროში „შავრაშეთი“-ს) წყალგამყოფი ქედის შემადგენელი ნაწილი, „შარვაშეთი“ ცხადია „შაროეთი“-დან მომდინარეობს, ამასთანავე თანამედროვე სოფ. ციხისჯვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვაბულში, ცხრაწყაროს უღელტეხილისკენ, მდებარეობს თერმული „შერანშაიანთ წყარო“ (იხ. „მესხური მატიანე“).

მიუხედავად ბიზანტიის იმპერატორთა პერმანენტული ექსპასიისა საქართველოზე, განსაკუთრებით მე-6 საუკუნიდან კლარჯეთსა და აფხაზეთში, უნდა ვივარაუდოთ, რომ შენარჩუნებულ იქნებოდა ადგილობრივი არისტოკრატიის, კერძოდ საქართველოს სამეფო ოჯახის სეფეწულთა მმართველობა ბიზანტიის დროშებქვეშაც, ანუ ქართველი ერისთავი, მეფე იღებდა არქონტის, პატრიკიოსის, კუროპალატის, მაგისტროსის ან სხვა რამ წოდებას და ინარჩუნებდა ხელისუფლებას, რაც გაგრძელდა მე-12 საუკუნემდე.

IX-X საუკუნეებში ზემო ჯავახეთის ნაწილი – შაროეთი („შაროელ ხელმწიფის“ სამფლობელო) მოიცავდა წუნდა-ხერთვისიდან ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით მდინარე ფარავნიდან დასავლეთისკენ მტკვარამდე რეგიონს, კოდიანს, ტაბაწყურს, სარო-ხიზაბავრა-ალასტან-გოკიას, სამსარ-აბულს, შარვაშეთს, თორს ტაშისკარიდან დემოთამდე, მტკვრის ჩრდილო შენაკადების ამოღმართ იმიერ ქართლამდე-არგვეთამდე. დასავლეთით „ზღვამდე სპერისა“ და ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდე აფხაზეთი იყო. ლიპარიტმა მიუხედავად თავისი „ქვეგამხედვარობისა“, მარგვეთიდან თრიალეთში შესვლითაც კი აფხაზეთის სამეფო განავრცო. უცნობია შავლიანთა და ბაღვაშთა ურთიერთობა.

მთავარი ტაძრის ინტერიერიდან და კარიბჭიდან გატანილი მიწა გაიცრა და დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოზაიკის კენჭები, მდიდარი ფერების გამით. სწორედ ეს იყო ვახუშტის „სოფიის კენჭი“, ივ. გვარამაძის „მუზაიტის კენჭი“ ან ე. თაყაიშვილის „Секлянные кубики“ რამდენიმე ცალი რომ უპოვია მოგზაურობისას. შორეთის მოზაიკას განიხილავს აგრეთვე ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი გორდეევი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ ხელნაწერში (წყარო მიმითითეს აკად. გ. ლორთქიფანიძემ და პროფ. გ. გრიგოლიამ).

თავად ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი ნაცრისფერი ქვით. სამრეკლო და სამლოცველო ეკლესიის სამხრეთ კედელზეა მიშენებული. სამრეკლო სამლოცველო სამსაფეხურიან ცოკოლზე დგას. ეკლესიის ძირითადი ნაწილი შიგნით ჯვაროვან სივრცეს ქმნის. სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს გაკეთებულია უბეები ჯვრის მკლავებით, რომლებიც გადახურულია მთავარი კამარის პარალელური კამარებით. საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით მოთავსებულია სამკვეთლო, სანათლი და სხვა დამატებითი სათავსები, რომელთაგან ერთ-ერთი უკავშირდებოდა ეკლესიის ქვედა დარბაზს. შეინიშნება მხატვრობის ფრაგმენტები კონქში და კამარის საბრჯენ თაღზე. კონქში გამოსახული იყო შუაში მაცხოვარი, წმ. მირიანი და იოანე ნათლისმცემელი. ფრაგმენტების საერთო გამა მოცისფრო-მოყავისფროა.

1849 წელს აკად. მარი ბროსემ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. მიუხედავად „სიცივისა და უდროობისა“, სხვა საყურადღებო ცნობებთან ერთად ძეგლის ლაპიდარული წარწერების აღწერილობაც დაგვიტოვა. მათგან ყველაზე საყურადღებოა კათალიკოზ მიქაელის რელიეფური წარწერა:

როგორც მ. ბროსე მოგვითხრობს (73:177) მას თავის ადგილზე დადებული უნახავს და წასაკითხად ჩამოუღია რელიეფური წარწერა: „ᲘᲗᲘᲔᲥ Ⰻ-Ⲧ ᲫᲗᲔ ᲘᲮᲔᲘᲠᲔ Ყ-Ⲧ Ⲕ[ᲠᲔᲠᲬᲘ]Ⲩ[Ⲓ]Ⰻ[ᲠⲬ]Ⲩ“ – „იესუ ქ(რისტ)ე, ძეო ღვთისაო შ(ეიწყალ)ე კ(ათალიკო)ზ(ი) მ(ი)ქ(ე)ლ“.

აღნიშნული წარწერა ბაქრაძის, თაყაიშვილის, ბოჭორიძისა და ბერიძის სამეცნიერო ექსკურსიების დროს დაკარგულად ითვლებოდა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ე. თაყაიშვილი, მაგრამ 1987 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ იქნა მოძიებული გვიანდელ ხანაში ეკვდერად გადაკეთებული მცირე სამლოცველოს – მონასტრის საძვალის კარიბჭესთან, ნაშალი მიწის ფენის აღებისას. წარწერა კაპიტელის ან კარნიზის ფრაგმენტზეა ამოკვეთილი, ორ მხარეს. ცალ მხარეს ძლიერ დაზიანებულია და საკუთარი სახელი აღარ იკითხება, თუმცა დარჩენილ ასოთა ფრაგმენტების მიხედვით შესაძლოა იყოს ⲔⲨ ᲨⲪⲨ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა იკითხებოდეს „ᲨⲪⲨ – მელქისედეკ“. წარწერის ძირითადი ნაწილი კარგად არის შენახული. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ასო „ვიე“, რომელიც თითქმის თავშეკრულია, თუმცა წარწერა პალეოგრაფიულად შედარებით გვიანდელია თავსეკრულე „ვიე“-სთვის. წარწერა თავისი რელიეფურია, (სამხრეთ ფასადძე კრიპტაზე დაშენებული კარიბჭის ტიმპანის უნდა იყოს), პალეოგრაფიულადაც საკმაოდ განსხვავდება, ვფიქრობთ უფრო ადრინდელი უნდა იყოს სხვა ლაპიდარულ დანარჩენ წარწერებზე.

მ. ბროსეს ეკუთვნის კიდევ ერთი ფრაგმენტული წარწერის აღმოჩენა:

„სახელითა ღვთისაითა აღვაშენეთ წმიდა ესე ეკლესიაი“

1995 წ. სატრაპეზოს გათხრებისას მიკვლეულ ფრაგმენტებზე შესაძლოა ამ წარწერის კვალი იყოს შემონახული, შესაძლოა ბროსემ ზუსტი წაკითხვა არ მოგვცა,

ან ფრაგმენტები დაზიანებულია და აღარ იკითხება სათანადოდ. ზემოხსენებული ფრაგმენტები მონასტრის ქვის კანკელს ეკუთვნის და შევეცდებით მის რეკონსტრუქციას.

1988 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ აღმოჩნდა სრულიად უცნობი წარწერა სამრეკლოს სამხრეთ დასავლეთ კედლის გათხრისას, ნაშალი მიწის ფენაში, ზედაპირთან ახლოს. ეს არის ჩამომტვრეული კუთხის კარნიზის ფრაგმენტი სამრეკლოს პირველი სართულის კარნიზიდან.

ԱԱ ՅՏԼՔՏ ՀԵ – „უფალო შეეწიე ნიკოლოზს“. თუ პირველად ასო კ-ს წავიკითხავთ შესაძლოა იყოს კონსტანტინე. მაგრამ უფრო ნიკოლოზი უნდა იყოს (ასოები ერთმანეთშია ჩახაზული).

1989 წელს ექსპედიციის მსვლელობისას, სატრაპეზოს არქიტექტურული ანალიზისას გაჩნდა ეჭვი, რომ დასავლეთის მხრიდან მშრალი წყობით ამოქოლილი კედელი კარი უნდა ყოფილიყო. კარის კონტური სჩანდა სევეროვის ანაზომშიც. მიწის არცთუ დიდი ფენის აღებამ მოსაზრების სისწორეში დაგვარწმუნა, გამოჩნდა მარჯვენა იმპოსტის ქვა ჩამოტეხილი ფასადით, მარცხენა იმპოსტის ქვაზე კი აღმოჩნდა მშვენიერი ასომთავრული წარწერა მცირედ დაზიანებული, თუმცა სრულიად იკითხება:

Ֆ-Ղ Ց-Ղ ՀԵԾ ՀԾ

ქ-ე შ-ე ნკზ ცდ (ქრისტე, შეიწყალე ნიკოლოზ ცოდვილი).

1995 წ. ექსპედიციის მიერ მთავარი ტაძრის პირველი სართულის (სატრაპეზოს) წმენდითი სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა ქვევრები, სავარაუდოდ მარანი, სატრაპეზოს სიღრმეში კი ქვის კანკელის დღემდე უცნობი ფრაგმენტები. კანკელზე შესრულებულია ნუსხა – ხუცური წარწერა. შესაძლოა ეს იყოს ერთი ნაწილი მარი ბროსეს მიერ მიკვლეული ფრაგმენტებისა, რადგან სატრაპეზოს დიდი ნაწილი, რამდენიმე სენაკი გამოუკვლეველია და ნაშალი მიწით სავსე.

რაც ამ წარწერიდან ჩანს, უმთავრესია კანკელის წარწერის თარიღი: ՖԵՆ:Ք – ქორონიკონს ტ (300) სამწუხაროდ თარიღის დანარჩენი ნაწილი ჩამოტეხილია, მაგრამ კანკელის წარწერა თარიღდება არაუადარეს 1081 არაუგვიანეს 1180 წლით (ე. ი. მეცამეტე მოქცევის მესამე ასწლეულით).

პირვანდელი დარბაზული ეკლესია VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. რაც შეეხება წარწერის დანარჩენ ფრაგმენტებს, იმდენად დაზიანებულია წარწერა, რომ ძნელად იკითხება. აღსანიშნავია ერთი ფრაგმენტი: „...ԺՇՀՅՏ – ՂՀ“, სამონასტრო კომპლექსის გაწმენდისას გამოირკვა, რომ ინტერიერიც მდიდარია ლაპიდარული წარწერებით.

მოზაიკის ნაშალი ფენის ქვეშ, ინტერიერის ჩრდილოეთ კედლის თაღოვან ნიშაში იკითხება ასომთავრული წარწერა „... Ꭹ ᏥᎸᎾ ᎾᏗ Ꮮ“ ჩვენი სავარაუდო წაკითხვით: „შეეწიე მხატვარ ხარებასა“... ამ წარწერით დასტურდება ფაქტი, მოზაიკის ოსტატის ქართველობისა. ჩანს, ქართული ასომთავრულით ის ავსებდა მოზაიკურ დეკორს, ე.ი. ადგილი აქვს გარკვეულ ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ მოზაიკის ფრაგმენტები დღესაც შემორჩენილია კამარაზე, თაღებზე და ნაწილობრივ კედლებზე მკლევართა უმეტესობას შორეთის მოზაიკა არ შეუმჩნევიათ (მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, ვ. ბერიძე). ჩვენს მიერ შორეთში მოზაიკის გამოვლენა და დაფიქსირება რამდენიმე კენჭის პოვნით დაიწყო; წყაროებში შემონახული ინფორმაციიდან გამომდინარე სერიოზული ყურადღება მიექცა ტაძრიდან გატანილი მიწის გულდასმით გაჩხრეკას-გაცრას. ამ მიზნით შორეთის მოზაიკის დეტალები ისეთი რაოდენობით შეგროვდა, რომ ამჟამად რეალურია წმ. გიორგის ეკლესიის მოზაიკური „ყურე-კედლის“ რესტავრაცია.

საინტერესოა კიდევ ერთი ახალი, გამოუქვეყნებელი ასომთავრული წარწერა: ᎾᎾᏬᎾᏦᏗ (მამათმთავარი) ინტერიერში, საკურთხევლიდან რიგით მესამე თაღზე სამხრეთ მხარეს მოთავსებულ ფრესკაზე.

შესაძლოა მონასტრის წარწერაში მოხსენებული საბა-ნიკოლოზი იგივე საბა მაწყვერელი იყოს, რომელმაც დაუწესა მამამისს ოთარ ვარაზას (იგივე ვარაზ ბაკურ-ოთარს), „საუკუნო აღაპი“ ჯვრის მონასტერში, რადგან სხვაგვარად ძნელი ასახსნელია – ამ ორი პიროვნების ურთიერთკავშირი აღაპებში.

შორეთის არქეოლოგიური კვლევის დროს ნაპოვნია ბაზალტის საპირე ქვის ფრაგმენტი, ადამიანის რელიეფური გამოსახულებით, რომელიც შესაძლოა ქტიტორის გამოსახულებად მივიჩნიოთ. ეკლესიის გვერდით (მარჯვნივ) დგას და სავარაუდოდ გონიო უჭირავს მარცხენა ხელში. ქტიტორის გამოსახვა დამახასიათებელია მხოლოდ უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიისთვის, მაგრამ ფაქტი, რომ ქტიტორს გონიო უჭირავს, გვაიძულებს დავუბრუნდეთ შორეთის კიდევ ერთ ლაპიდარულ წარწერას, რომელიც დღემდე შემონახულია მონასტრის კარიბჭეზე:

„ქ. ორბისძეს (ან ორბელისძეს) ნიკოლოზს გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან ამინ“.

საინტერესოა ორი რამ:

1. თავისთავად გვარი „ორბისძე“ – ორბ-ელ-ის ძე (ბ-ს თავზე ქარაგმა შეიმჩნევა მ.დ.).

2. ორბ(ელ)ისძის გალატოზთ უხუცესობა, ტოლფასია ხუროთმოძღვართუხუცესისა, დიდმოხელეს აღნიშნავს, უნდა ვიგულისხმოთ მეფის (ან კათალიკოს-პატრიარქის) დაქვემდებარებაში.

2003 წელს სამრეკლოს წმენდითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა მარმარილოს ფილაზე სავარაუდოდ XIV-XV სს. შესრულებული წარწერა: „დიდსა ეკლესიასა შინა არა ჯერ არს მკუდართა ფლუაი, რამეთუ ცოდვაი დაეყენა მკუდ...“, წარწერა ცუდად იკითხება, აზრის წყვეტაა, სავარაუდოდ კიდევ ერთი წარწერის ფრაგმენტი უნდა იყოს სადმე, ან უბრალოდ დაუმთავრებელი დარჩა, რადგან ზუსტად იგივე ჯიშის ქვის ფილა იქვეა ჩასმული წარწერის ამოუკვეთავად. წარწერა მეტყველებს, რომ მძიმე წლებში, მონღოლთაგან „შეუვალ“ მონასტრებზე მოზვავებულ „მამულთა უკანგამომწირველებს“ მაღალფარდოვანი შეგონებებით ებრძოდა ეკლესია, რათა მონასტერი საგვარეულო საძვალედ

არ ექცია ადგილობრივ ფეოდალს შემდგომ ქონებრივი პრეტენზიების წასაყენებლად. ამავე დროს წმენდითმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ დიდ ეკლესიის პირველ სართულზე შესაძლოა სატრაპეზო იყო (ქვევრები აღმოჩნდა, ხოლო საფლავების კვალიც არ არის, როცა ეკლესიის გარშემო მრავალ ფენად არის წარმოდგენილი სამაროვანი. აღნიშნული წარწერა არა მარტო შინაარსობრივად, პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც გვიანდელია, და გამოკვეთილია თეთრობის მარმარილოზე (ან მსგავს) ქვაზე.

ცალკე განხილვის საგანია ხომ არ არიან ერთი და იგივე პიროვნება საბა-ნიკოლოზი და ნიკოლოზ ორბისძე, მით უმეტეს, რომ ნიკოლოზის სახელზე კიდევ ვხვდებით წარწერებს მონასტრის კედლებზე, კერძოდ სატრაპეზოს შესასვლელში. „ქ. შეიწყალე ნიკოლოზ ცოდვილი, შეეწიე ნიკოლოზს“, ქტიტორის გამოსახვა ხელში გონიოთი ეკლესის რელიეფთან სწორედ ამ აზრისკენ გვიბიძგებს. აქვე არ შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული პარხალის ზემოგანხილული წარწერა, საბას, კათალიკოს ნიკოლოზის, საბადრიშვილისა და საბოთარის ურთიერთმიმართება.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ საბა-ნიკოლოზ-ვარაზ-ბაკურ-ოთართა, ნიკოლოზ-ორბისძე-ორბელიანთა და შაროელ ხელმწიფეთა ურთიერთკავშირს განსაკუთრებული კვლევა სჭირდება, აქვე უნდა იქნას განხილული აძიკვის წარწერა.

თამარ მეფის მიერ ბიზანტიაში საგანგებოდ შეკვეთილი ოთხთავი შეწირული შორეთისადმი არტანუჯელთა რძლის მიერ, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სწორედ შორეთის სკრიპტორიუმში იქნა გადაწერილი ვანის ოთხთავის ასლი, რომელიც დღეს ეჩმიაძინში (ან შესაძლოა უკვე მატანადარანში) ინახება.

საინტერესოა მ. ბირკაძის ვარაუდი, რომ თურქებთან მებრძოლი გიორგი ალასტნელის მამა ანდრონიკე არა დავით მერვის ან გიორგი მეხუთის, არამედ საქართველოში ლტოლვილი ტრაპიზონის იმპერატორის ძეა, სარგის ჯაყელის მამიდაშვილი და გიორგი ბრწყინვალის (დედით ჯაყელის) დეიდაშვილი, სეფეწული, რომელსაც შესაძლოა მამულად ან საკარგავად მისცემოდა ალასტანი, სწორედ მეფეთა მეფის უფროს ძმათა (სავარაუდოდ მრავალი პრეტენზიის მქონე) შთამომავლობისა და ტაძრეულის შესავიწროებლად. აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავუშვათ შორეთის მოზაიკის ბიზანტიურ/ტრაპეზუნული წარმომავლობა/ნათესაობა (შორეთის მოზაიკა საკმაოდ იდენტურია ტრაპეზუნის აია-სოფიის ტაძრის მოზაიკისა). XIX ს. ბოქთასა და ციხისჯვარში ბერძნულენოვანი „პონტოელი ბერძნების“ ყოფნა და შორეთის მონასტრის საქართველოს ბერძნულ მოსახლეობაში ესოდენი პოპულარულობა, ღვთიშობლის შობის ღამისთევა, რასაც ნებისმიერ დროს, უგზოობაშიც ტრადიციულად ხალხმრავლობით აღნიშნავდნენ ბერძნები, გარკვეულწილად დაკავშირებული იყოს ტარაპიზონელი უფლისწულის, მისი ოჯახისა და ამალის შემოხიზვნასთან ალასტანსა და ასპინძისხევ-ზემო ჯავახეთში.

ამავე დროს უნდა იყოს აშენებული შორეთის სამრეკლო, რომელიც მონასტრის ქტიტორთა წარწერაზეა მიშენებული, და არატრადიციული ჩუქურთმებითაა შემკული, ანალოგიურია მხოლოდ ურავლის ხეოთის სამრეკლოსი.

ლაპიდარულ წარწერებში დასტურდება ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენებულ ფეოდალთა სახელები და სადაურობა:საბა-ნიკოლოზი და ოთარი ვარაზა (ვარაზ-ბაკური ოთარაის ძე), რომელთაც, როგორც შორეთის მონასტრის ქტიტორებს და (საბ) ოთარებს, შაროელ ხელმწიფეთა ჩამომავლებად (ხოსროვან-ბაკურეანებად) და შალიკაშვილთა ფეოდალური სახლის წინაპრებად მივიჩნევთ.

მონასტრის საძვალის ქვის გარე პერანგისა და არქიტრავის დეკორი აგრეთვე განსაკუთრებულია და საყურადღებო პარალელის გავლება შეიძლება შუასაუკუნეების ევროპულ დეკორთან, ნუმიზმატურ ნიშნებთან (ბრიტანული ორფუნტიანის რევერსზე გამოსახულ კელტურ კოსმოგონიურ სიმბოლიკასთან).

დასასრულ, უნდა გამოითქვას სამონასტრო ცხოვრებისგან მოწყვეტილი, მაგრამ არქეოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო ვარაუდი, რომ შესაძლოა მონასტერი დაშენებული იყოს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე. ტაძრის პირველი სართულის დასავლეთ ნაწილი კვეთში ტრაპეციის ფორმის კედლებითა და რეკონსტრუირებული დასავლეთ შესასვლელით, ძალზედ მოგვაგონებს დრომოსს. სამრეკლოს სამხრეთ აღმოსავლეთით გამოვლენილი უხეშად გათლილი ქვის წრიული კედლის ნაშთები, მრავალრიცხოვანი მიწისქვეშა აკლდამები და კრიპტები მიუთითებენ უძველესი სამაროვნის ნაშთების არსებობაზე. ბრინჯაოს ხანის ქვაყუთები, სამაროვანი ყორღანული სამარხები გამოვლენილია სოფ. ოთაში, წყალსაცავის ტერიტორიაზე, ქვემო და ზემო ინთორის ნასოფლარებთან.

ასპინძისხევის ისტორია ხეთებისა და ტროას ეპოქამდე ნათლად იკვეთება 2008-2009 წ. სოფ. ოთის ყორღანებიდან მოკვლეული მასალის მიხედვით (ვ. ლიჩელი, გ. გრიგოლია), სავარაუდებელია უფრო ადრეული პერიოდის გამომზეურებაც. სოფელი ოთა, ბოქთისა და ინთორის ნასოფლარები მდიდარია ბრინჯაოს ხანის აკლდამა-სამარხებით, შესაძლოა შორეთის ნამონასტრალი სწორედ უძველესი დროიდან წარმოადგენს საკულტო დანიშნულების ადგილს და ცხადია შემორჩენილი უნდა იყოს აკლდამა-სამარხებიც. აღნიშნული თვალსაზრისით კომპლექსი სრულიად შეუსწავლელია, მოითხოვს დამატებით კვლევას, რადგან არქეოლოგია არ გასცილებია, მცირედი გამონაკლისის გარდა, პირობითი ნულის ზედა წმენდით სამუშაოებს და ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმაა შესაძლებელი.

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით გამოვლენილი სამარხი, კვადრატი N4 (1987წ.)

საძვალე სენაკის კარებთან გამოვლენილი ასომთავრულ წარწერიანი კარნიზის ქვა

„იესო ქრისტე შეიწყალე კათალიკოზი მიქაელ“

დამოწმებული ლიტერატურა, საისტორიო წყაროები და საარქივო მასალები:

1. აბდალაძე ა., „სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ“. თბილისი 1978.
2. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი 1985.
3. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბილისი 1971.
4. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 2. თბილისი 1965.
5. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 1. თბილისი 1964.
6. ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. 2. თბილისი 1953.
7. ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება. თბილისი 1956.
8. ბერიძე რ., „ასპინძა ისტორიულ წყაროებში“, გაზ. „ასპინძა“. 17,18/06-1987.
9. ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბილისი 1992.
10. გამრეკელი ვ., „თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისაგან წმინდა მარინეს ეკლესიაში“. ახალციხე 1905.
11. გენგიური ნ., კუპელჰალე. თბილისი 2005.
12. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1965.
13. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი 1962.
14. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. 2. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი 1941.
15. დათუკიშვილი მ., შორეთის მონასტრის ქტიტორი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბილისი 2000.
16. დათუკიშვილი მ., შორეთის ლაპიდარული წარწერები. თსუ „კულტურის ისტორიის საკითხების“ III. თბილისი 1997.
17. დათუკიშვილი მ., ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თ. თოდუას რეცენზიით. სადიპლომო ნაშრომის ნაბეჭდი ასლი. ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის არქივი. 1988.
18. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი 1941.
19. ზაზაძე გ., სამაგისტრო ნაშრომი „გზები“. ასპინძისხევის ექსპედიციის წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006.
20. თაყაიშვილი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბილისი 1960.
21. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზურობანი და შენიშვნანი, წ. 1. ტფილისი 1907.
22. ინგოროყვა პ., დავით სასუნცი – სომხური ხალხური ეპოსი (შესავალი სტატია, ათსწლოვან იუბილესათვის), თხზულებათა სრული კრებული. თბილისი 1930.
23. ინგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, კონსტანტინეპოლი, 4-6 ივლისი, 1918.
24. კოჟორიძე დ., სამცხე-ჯავახეთი – წარსული და დღევანდელობა. თბილისი 1987.
25. ლომსაძე შ., მესხეთ-ჯავახეთი. თბილისი 1975.
26. ლორთქიფანიძე ქ., ლორთქიფანიძე გ., აჰმედ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის

ისტორია. თბილისი 2004.
27. მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი. თბილისი 1938.
28. მამულია გ., პატრონყმობა. თბილისი 1987.
29. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი 1970.
30. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. თბილისი 1981.
31. „მესხური ფელტონი“, ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე), გაზ. „დროება“, N98. 1881.
32. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს). თბილისი 1962.
33. მეწოფეცი თოვმა, ლანგ თემურის ომების ისტორია. თბილისი 1987.
34. ნინიძე დ., პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში. თბილისი 1995.
35. ჟორდანია თ., ქრონიკები. წ. 2. ტფილისი 1897.
36. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 3. თბილისი 1979.
37. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბილისი 1970.
38. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. თბილისი 1980.
39. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბილისი 1966.
40. საქართველოს სცია, განსაკუთრებული საქმეთა ფონდი, ფ. 73, ს-158.
41. საქართველოს სცია, განსაკუთრებული საქმეთა ფონდი, ფ. 223, ს-37, გვ. 7.
42. საქართველოს სცია, განსაკუთრებული საქმეთა ფონდი, ფ. 73, ს-158, გვ. 25 V.
43. სიხარულიძე ი., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. II, „მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის“. თბილისი 1964.
44. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, II, ილია აბულაძის რედაქციით. თბილისი 1993.
45. უმაროვ-გოზალიშვილი ხალილ, მესხთა ტრაგედია. „კავკასიური სახლი“. თბილისი 2005.
46. ფრონელი ალ., დიდებული მესხეთი. გორი 1914.
47. ქავთარაძე გ., საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია. 2006.
48. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი 1973.
49. ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა *ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი 1959.*
50. ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა *ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი 1955.*
51. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბილისი 1942.
52. ქართული სამართლის ძეგლები, III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი 1966.
53. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი 1957.
54. შანიძე აკ., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. თბილისი 1971.
55. შარაშიძე ქრ., სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). თბილისი 1961.
56. ჩხეიძე სეხნია, „ცხოვრება მეფეთა“.
57. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. თბილისი 1956.
58. ჭილაშვილი ლ., კახეთის ქალაქები (XIV-XVII). თბილისი 1980.
59. ხელნაწერთა აღწერილობა, I. თბილისი 1953.
60. ხელნაწერთა აღწერილობა, II. თბილისი, 1948.

61. ხერხეულიძე ო., შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათვის. ტფილისი 1894.
62. ხოსიტაშვილი ს., ასპინძის ომი. თბილისი 1972.
63. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 2. თბილისი 1983.
64. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. 4. თბილისი 1967.
65. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. 3. თბილისი 1966.
66. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. 2. თბილისი 1965.
67. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. 1. თბილისი 1960.
68. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები. ტფილისი 1919.
69. ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. 3. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი 1958.
70. VI მსოფლიო კრების კანონების ქართული თარგმანი, გამ., ა. ხახანაშვილისა. გვ. 113.
71. Acar Ahmed, Tarichte Hamshigulari. Ankara 1995.
72. Brosset M., Histoire de la Georgie, II St.-Petersbourg 1857.
73. Brosset M., Rapports sur un Voyage Archeologique dans la Georgie et dans L`Armenie. St.-Petersbourg 1851.
74. Brosset M., Histoire de la Georgie, I, St.-Petersbourg 1849.
75. Takaishvili E., Antiquites Georgiennes. Table des Materies du Tome X, Extrait de Bizantion. Bruxelles 1935.
76. Бакрадзе Д., Кавказ в древных памятниках христьянства. Тифлис 1875.
77. Бакрадзе Д., Археологические путешествия по Гурии и Адчарь.СПБ. 1878. с. 80.
78. Вейденбаум Е.А., „Кавказские этюды“. Тифлис 1901.
79. Географическо-статистический словарь Росиоской империи т. V. СПБ. 1869.
80. Географическо-статистический словарь Росииской империи т. III. СПБ. 1867.
81. Иоселиани П., *Описание древнего города Тифлиса. Тифлис 1866.*
82. Межкавказские политические и торговые связи вост. Грузии. Тбилиси 1980.
83. Марр Н., Основние таблицы к граматике древнегрузинского языка. СПБ 1908.
84. Материалы по археологии Кавказа. Вып. XII М 1909. *Христянские памятники, экспедиция Э. Такаишвили 1902 г.*
85. Результаты путешествия г. Акад Броссе по Грузии газ. „Кавказ“ №40. 1 октябрь 1849.
86. Сборник материалов для описания Тифлиской губернии под ред. *К.Л. Зисермана. т.* I *вып.* I. Тифлис 1870.
87. Умаров-Гозалишвили Халил, Месхетинская трагедия. Самоиздание, 1983.
88. Хаханашвили М., *Этнографическое обозрение, №3. Москва* 1891.

SHORETI MONASTERY LAPIDARY INSCRIPTION OF BUILDING DONOR

Malkhaz Datukishvili
Dr. in Archaeology
malkhaz.datukishvili@gmail.com

ABSTRACT

The article discusses a study on the Shoreti monastic complex and its lapidary inscriptions, based on materials obtained by the Georgian Historical Society, the Department of Cultural History of TSU, and the Aspindziskhevi's Scientific-Research Institute of the Georgian Caucasian Culture, History and Ethnology.

Prior to the Aspindziskhevi's expedition, no significant archeological research, documentation, or conservation efforts had been conducted on the Shoreti monastic complex. We had only scant information from historical sources, as well as the results of exploratory expeditions by prominent scholars and volunteers (from the late 19th to the 20th centuries).

The Shoreti monastery complex is a cultural heritage monument of VI-XV centuries, located in Aspindza, 5-6 km southeast of Ota. The architectural structures that has been rebuilt many times, suggest that the main church was likely built on the remains of a 6th-7th centuries cultic structure.

The lapidary inscriptions at the Shoreti monastery are particular significant, offering insights into the feudal house. This inscriptions confirm the feudal names and origins mentioned in the Monastery of Cross inscriptions:Saba-Nikolozi and Otari Varaza, who are considered to be founders and (sab)otars, of the descendants of the Sharo rulers (Khosrovan-Bakureans) and ancestors of the Shalikashvili feudal house.

The conducted studies highlights that these complex belong to the most important cultural heritage monument of Samtskhe-Javakheti. However, the complex has not yet been fully explored from an archaeological point of view. The evidence suggests that the site has served as a place of worship since ancient times.

KEYWORDS: SAMTSKHE-JAVAKHETI, ASPINDZA, TORI, SHORETI MONASTERY, LAPIDARY INSCRIPTION